



მათემატიკა - III კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი \_\_\_\_\_

სკოლა, კლასი \_\_\_\_\_


თანაგუნდელის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

მასწავლებლის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

ამოცანები

1) საწყობში სულ არის 23 ველოსიპედი - ორთვლიანი და სამთვლიანი. ამ ველოსიპედებს ერთად 58 თვალი აქვს. რამდენია მათ შორის ორთვლიანი და რამდენი - სამთვლიანი?

2) რამდენი სამკუთხედი შეიძლება დასახელდეს რომელთა წვეროები მითითებული წერტილებიდან შეირჩევა? ჩამოთვალეთ ეს სამკუთხედები.




3) თამარს მარკეტში 72 თეფში უნდა ეყიდა, თითოეულის ფასი 4 ლარი იყო. თუმცა, ფასდაკლების გამო მას ყოველ ნაყიდ 6 თეფშზე ჩუქნიდნენ უფასოდ 1 თეფშს. ამ ფასდაკლებით რამდენ ლარს ისარგებლებდა თამარი, როცა 72 თეფშით დატოვებდა მარკეტს?

4) მოცემულ გამოსახულების უჯრებში ჩაწერეთ თითო ციფრი ისე, რომ მიიღოთ სწორი ტოლობა

$$45 + \square : 3 + \square \cdot (4 - 3 \cdot \square) = 49.$$

5) გაამუქეთ სურათზე გამოსახული ისეთი 11 პატარა უჯრა, რომ აქ მითითებული 5 მიმართულებით განლაგებული იყოს სამ - სამი მუქი უჯრა.



6) დაასახელეთ რიცხვი, რომელიც შედგება 4 ასეულის, 25 ათეულის და კიდევ 153 ერთეულისგან.

გისურვებთ წარმატებას !